ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი 01.12.2016 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 12.10.16წ. №39.16.849 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.11.16წ. #383 განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - **სსიპ ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი გელა წიკლაურის მიერ - პ/ნ: №01008016352) და მეორეს მხრივ, **შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედი“** (შემდგომში „ქონების შემძენი“, ს/ნ: 404456110; მის: რ. თაბუკაშვილის ქ. #17; წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე აბულაძის მიერ - პ/ნ: 62001003516) ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (ხელშეკრულების საგანი):

1.2.1. **ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში (ნაკვეთი 01/045) მდებარე 505 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.070)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882016238306 – მომზადების თარიღი 15/04/2016

1.2.2. **ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში მდებარე 204 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.080)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882016448148 – მომზადების თარიღი 19/07/2016

1.3. სანაცვლოდ, ამ ხელშეკრულებით, ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს: **ქალაქ თბილისში, გორგასლის ქ. №39-ში მდებარე 383 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1, №2, №3 შენობა-ნაგებობებს (საკადასტრო კოდი: №01.18.04.006.027)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882015694776 – მომზადების თარიღი 08/12/2015

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები

2.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 371000 (სამას სამოცდათერთმეტი ათასი) ლარი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773390
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

3.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2. ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2.1 და 1.2.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთები ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. №01.18.05.001.080 საკადასტრო ერთეულის ტერიტორიაზე ვრცელდება 80 კვ.მ. ფართობის სერვიტუტის უფლება და გარდა აღნიშნული უფლებრივი მდგომარეობისა, ეს მიწის ნაკვეთები არის უფლებრივად უნაკლო, მიწის ნაკვეთები არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით.

4.2. ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. არის უფლებრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით.

4.3. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

4.4. სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

4.5. ქონების შემძენი ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4.6. ქონების შემძენი ვალდებულია, მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

4.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

4.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

4.9. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული ქონება, ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, სარეგისტრაციო სამსახურში სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი). პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

7.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

7.4. ხელშეკრულების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

7.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

7.6. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

გელა წიკლაური

შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედი“

ალექსანდრე აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 383

„25" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში მდებარე №01.18.05.001.070 და №01.18.05.001.080 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში მდებარე №01.18.05.001.070 და №01.18.05.001.080 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 12 ოქტომბრის №39.16.849 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში (ნაკვეთი 01/045) მდებარე 505 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.070) და ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში მდებარე 204 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.080) შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედის" (ს/ნ: 404456110) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გორგასლის ქ. №39-ში მდებარე 383 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1, №2, №3 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი: №01.18.04.006.027) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, საპრივატიზებო საფასურით (371 000 (სამას სამოცდა თერთმეტი ათასი) ლარი) ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

იქნა ის გარემოება, რომ შეფასების დამკვეთის: შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედის“ მიერ შემფასებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ტერიტორიაზე გაყვანილია კომუნიკაციები, რომლის გატანის ხარჯები, დამკვეთის მიერ შემფასებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, განისაზღვრა 42000 ლარით (სს „თელასი - 15 000 ლარი, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ - 20 000 ლარი; „სილქნეტი“ - 7000 ლარი). ამ ციფრის გამოკლების გათვალისწინებით, №01.18.05.001.070 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 370782 (სამას სამოცდაათი ათას შვიდას ოთხმოცდაორი) ლარის ოდენობით.

2016 წლის 16 აგვისტოს №004864816 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, №01.18.05.001.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 204 კვმ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2016 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 137971 (ას ოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას სამოცდათერთმეტი) ლარით. აღნიშნულ ნაკვეთის შემთხვევაშიც, დასკვნაში გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ შეფასების დამკვეთის: შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედის“ მიერ შემფასებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ტერიტორიაზე გაყვანილია შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ კომუნიკაცია, რომლის გატანის ხარჯები, დამკვეთის მიერ შემფასებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, განისაზღვრა 9000 (ცხრა ათასი) ლარით. ამ ციფრის გამოკლების გათვალისწინებით, №01.18.05.001.080 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 128971 (ას ოცდარვა ათას ცხრაას სამოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით.

მიწისქვეშა კომუნიკაციები განთავსებულია დედაქალაქის სხვა ტერიტორიებზეც და მიწის ნაკვეთებზე მათი არსებობა არ უნდა იქნეს განხილული, როგორც რადიკალურად მიუღებელი და დაუშვებელი ფაქტორი მიწის ნაკვეთების მახასიათებლების განსაზღვრისას. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მისაღებად არ მიიჩნევს კომუნიკაციების გაყვანის ხარჯების გამოკლების შედეგად გამოყვანილ ღირებულებებს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორივე მიწის ნაკვეთის საერთო საბაზრო ღირებულებად განიხილავს 550753 (ხუთას ორმოცდაათი ათას შვიდას ორმოცდაცამეტი) ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი 2016 წლის 7 ოქტომბრის №07/10082-13 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთების გასხვისება/გაცვლა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აღნიშნავს, რომ გასათვალისწინებელია როგორც მოსახლეობის ინტერესები, ასევე კერძო კომპანიის ინტერესები და შესაძლებლად მიიჩნევს წარმოდგენილი წინადადების დაკმაყოფილებას და საკითხის წარდგენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე. ამასთან, უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზებისას, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრას გაცვლას დაქვემდებარებული ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 371000 (სამას სამოცდათერთმეტი ათასი) ლარი, როგორც ზემოაღნიშნული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის - 370343 (სამას სამოცდაათი ათას სამას ორმოცდასამი) ლარის არანაკლები ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. შესათანხმებლად წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში (ნაკვეთი 01/045) მდებარე 505 კვ.მ მიწის

ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.070) და ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.080) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი, დაინტერესებული კომპანიის - შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედის“ (ს/ნ: 404456110) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გორგასლის ქ. №39-ში მდებარე 383 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1, №2, №3 შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი: №01.18.04.006.027) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

2. მიწის ნაკვეთების საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 371000 (სამას სამოცდათერთმეტი ათასი) ლარი და მისი გადახდა განხორციელდეს 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

3. საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მისი თანხმობის გაცემიდან 3 თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმება შპს „სამედიცინო ცენტრ ალმედთან“ (ს/კ: 404456110), ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის მიხედვით.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

დანართი
პროექტი

ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი ---------- .2016 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---------- განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---------- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ **ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: №----------) და მეორეს მხრივ, **შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედი“** (შემდგომში „ქონების შემძენი“, ს/ნ: 404456110; მის: ----------), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (ხელშეკრულების საგანი):

1.2.1. **ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში (ნაკვეთი 01/045) მდებარე 505 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.070)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

1.2.2. **ქალაქ თბილისში, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში მდებარე 204 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.080)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

1.3. სანაცვლოდ, ამ ხელშეკრულებით, ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს: **ქალაქ თბილისში, გორგასლის ქ. №39-ში მდებარე 383 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1, №2, №3 შენობა-ნაგებობებს (საკადასტრო კოდი: №01.18.04.006.027)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები

2.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 371000 (სამას სამოცდათერთმეტი ათასი) ლარი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773390
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

3.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2. ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2.1 და 1.2.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთები ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. №01.18.05.001.080 საკადასტრო ერთეულის ტერიტორიაზე ვრცელდება 80 კვ.მ. ფართობის სერვიტუტის უფლება და გარდა აღნიშნული უფლებრივი მდგომარეობისა, ეს მიწის ნაკვეთები არის უფლებრივად უნაკლო, მიწის ნაკვეთები არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით.

4.2. ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. არის უფლებრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით.

4.3. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

4.4. სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

4.5. ქონების შემძენი ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4.6. ქონების შემძენი ვალდებულია, მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

4.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

4.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

4.9. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული ქონება, ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, სარეგისტრაციო სამსახურში სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი). პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

7.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

7.4. ხელშეკრულების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

7.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

7.6. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედი"

საქართველო
შპს "სინათლის ქალაქი

GEORGIA
"CITY OF LIGHT" LTD

№ 4-01/569

"25" 04 2016 წ.

მოქ: გიორგი კაჭკაჭაშვილს
მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ქ. №60
ტელ: 595 69 44 88

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გულუას ქუჩაზე თქვენს კუთვნილებაში რიცხულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: (01.18.05.001.070) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა კოდით: (01.00.85) არ გადის.

დირექტორი: / ვ. ბაძაღუა /

შემსრ. ა. იმნაიშვილი
საკ. ტელ. 599 90 33 11

№27
13.04.2016

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ OG16-17925 D 13 04 2016

შპს ,,სამედიცინო ცენტრი ალმედის"
დირექტორს ა. აბულაძეს
მის. ახუნდოვის ქ. №13
ტელ.595 69 44 88

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN16-17270 დათარიღებული 06.04.16 წ. გულუას ქუჩაზე თქვენს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი N01.18.05.001.070 მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები არ გაედინება.

მამუკა კიკალიშვილი

დირექტორი ოპერაციების მართვის დარგში

შემს. ი. გაბიტაშვილი

№28
03.05.2016

სილქნეტი
SILKNET

№ 2057/24-8 03 05 2016

შპს „სამედიცინო ცენტრი ალმედი“-ს დირექტორს

ბატონ ალქსანდრე აბულაძეს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენგან შემოსული წერილი (92 – 13/04/2016)-ს თანახმად, სადაც გსურთ გაცნობოთ მის: ქ. თბილისში, გენერალ გულუას ქუჩაზე (ს/კ: 01.18.05.001.070)-ზე 505.00-კვ.მ ფართობზე მდებარე მიწის ნაკვეთზე, გადის თუ არა სს „სილქნეტი“-ს კომუნიკაცია

გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოცემულ მონაკვეთზე სს „სილქნეტი“-ს კუთვნილი კომუნიკაციები განთავსებული არ არის.

დანართი: 1. გეოგრაფიული რუკა 1-ფურცელი
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2-ფურცელი
3. მინდობილობა 1-ფურცელი

პატივისცემით

ტექნიკური აღრიცხვისა და პროექტირების დეპარტამენტის უფროსი
რევაზ ღვინიაშვილი

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.95
ტელ: (+ 995 32) 2 10 00 00;
ფაქსი: (+ 995 32) 2 10 00 01
www.silknet.com

95 Tsinamdzavrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (+ 995 32) 2 10 00 00
Fax: (+ 995 32) 2 10 00 01
www.silknet.com

შ.პ.ს "სამედიცინო ცენტრი ალმედი"

" Medical Center ALMEDI" ltd

0105 თბილისი, ახუნდოვის ქ. №13 T 72.14.59 / 72. 14. 75 13, akhundovi str., 0105 Tbilisi, Georgia

181

18.08.2017

ს.ს „თელასის" ადმინისტრაციას

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი - 01.18.05.001.089) გადის თუ არა თელასის კომუნიკაცია და თუ არ გადის გთხოვთ დაგვიდასტუროთ თანხმობა მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

დანართი - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

შ.პ.ს „სამედიცინო ცენტრი ალმედის"

დირექტორი: ა. აბულაძე

თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

ნომერი: 0822/388

თარიღი: 22/08/2017

შპს "სამედიცინო ცენტრი ალმედი" -ს დირექტორს ა. აბულაძეს

თქვენი მიმდინარე წლის 18 აგვისტოს #181 (სს "თელასის" #0818/218) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.05.001.089) არ გადის სს "თელასის" ბალანსზე არსებული კომუნიკაციები. გამომდინარე აქედან სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე სს „თელასს" პრეტენზია არ გააჩნია შესაბამისი პროექტის მიხედვით.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ქინქლაძე

შემსრულებელი:

მ. პაპიძე

ტელ:2779999-1-7643

სააქციო საზოგადოება „თელასი"